ოქმი:**ო37. 3723094001**

თარიღი:**04/04/2023**

ოქმი # 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 31 მარტი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ანგარიშს აუცილებლად უნდა ახლდეს ახსნა-განმარტებითი ბარათი.

3.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების(ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრების გამოყენებით სახელდების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

4. ინფორმაცია -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენების, საიჯარო ქირის ამოღებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის გამოყენების ეფექტურობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დ. დარჩია

თანამომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

5.ინფორმაცია- 2022 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების, ადგილობრივი ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაწეული საქმიანობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დ. დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

6. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

გადაწყვიტეს:

ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი ხუთივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, ამასთან N1, 2 და 3 საკითხი განხილვისა და დამტკიცების, ხოლო N 4 და 5 განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი